საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 285-ე და 286-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 285. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების გადადება

1. იმ გარემოებათა არსებობისას, რომელთა გამოც ადმინისტრაციული პატიმრობის, გამასწორებელი სამუშაოების ან ჯარიმის (გარდა ჯარიმის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე გადახდევინებისა) სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების დაუყოვნებლივ აღსრულება შეუძლებელია, დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია დადგენილების აღსრულება გადადოს 1 თვემდე ვადით.

2. საომარი მდგომარეობის დროს ადმინისტრაციულპატიმრობაშეფარდებული სამხედრო მოსამსახურის და სარეზერვო სამსახურში გამოძახებული პირის ადმინისტრაციული პატიმრობის აღსრულება გადავადდება საომარი მდგომარეობის დასრულებამდე. აღნიშნული მოსამსახურის/პირის სამხედრო/სარეზერვო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, რომელიც აღასრულებს გამოტანილ დადგენილებას ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ.

მუხლი 286. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების შეწყვეტა

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი) დადგენილების აღსრულებას შეწყვეტს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ამნისტიის აქტის გამოყენებისას, თუ ის აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას;

ბ) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტის გაუქმებისას;

გ) იმ სამხედრო მოსამსახურის ან სარეზერვო სამსახურში გამოძახებული პირის მიერ საომარი მდგომარეობის დროს ჩადენილი ქმედებისთვის მისი საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი ან/და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით დაჯილდოების შემთხვევაში, რომლის მიმართაც იყო გამოტანილი დადგენილება;

დ) იმ პირის გარდაცვალებისას, რომლის მიმართაც იყო გამოტანილი დადგენილება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

7 მარტი 2018 წ.

N2045-IIს